ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის აგვისტოს 1.	№ 14 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შინაარსი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 155. მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო უმარტივეს აგროკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით ჩატარების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 156. ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების დამატების შესახებ.

„ 157. „ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოებისათვის შედავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის გაუქმების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 158. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 159. ბამბის პლანტაციების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

„ 160. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, შერეულ ზოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930-31 საბიუჯეტო წლის საკაციო საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

155. მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო უმარტივეს აგრიკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობამ უკვე გაიარა საადმდგენო პერიოდი და იგი დაადგა ძირითადი რეორგანიზაციის გზას საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებისა და ტეხნიკის წარმატების საფუძველზე. სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო უმარტივესი აგრიკულტურული ღონისძიებანი უკვე შეითვისა მოწინავე გლეხობამ, ხოლო ამ ღონისძიებათა ფართო გამოყენება ბოლოდება გლეხობის ჩამორჩენილი ნაწილის არასაკმარისი აქტივობის გამო. რადგანაც ეს გარემოება აფერხებს მთელი სასოფლო მეურნეობის განვითარებას და აბრკოლებს ტეხნიკის შემდგომ გაუმჯობესებას და სასოფლო მეურნეობის მწარმოებელ ძალთა წარმატებას,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ იხმარონ ღონისძიებანი შემდეგ უმარტივეს აგრიკულტურულ და ხოო-ვეტერინარულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით განხორციელებისათვის:

1. ვალდებულჰყონ საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო ორგანიზაციები, კოლექტიური მეურნეობები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სოფლის საზოგადოებები, აგრეთვე ცალკეული საკლეხო მეურნეობები იმ რაიონებში, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფილ არიან ტრიერებით და მხარისხებლებით, სოესონ მარტოოდენ გაწმენდილი და ჯიშიანი თესლი.

2. სავალდებულოდ გახადონ თესლის დაწმენდა იმ რაიონებში, სადაც შემჩნეულია სოკოსებური დაავადება, რისთვისაც წინადადება მისცენ საადგილმამულო ორგანოებს უზრუნველჰყონ მოსახლეობა თესლის დაწმენდისათვის საჭირო მასალით.

3. ტრაქტორებითა და რკინის გუთნებით საკმარისად უზრუნველყოფილ რაიონებში, განსაკუთრებით საბამბე რაიონებში, აკრძალონ ხიშმით, ჯუთით ან კავით ხვნა გუთნით მოხვნისათვის ვარგისი მიწებისა.

4. აკრძალონ ყოველგვარი საქონლის ძოვება გაზაფხულზე ნათესებში.

5. იხმარონ ნამდვილი ღონისძიებანი სარეველასთან ბროლისათვის.

6. იხმარონ ღონისძიებანი, რათა მინდვრები მაქსიმალურად გაწმენდილ იქნეს ქვებისა, ეკალისა და ჯაგნარისაგან.

7. წესირად შეინახონ სარწყავი არხები და ყოველწელს გაზაფხულზე გასწმინდონ ხოლმე მინდვრის მუშაობის დაწყებამდე. იხმარონ ღონისძიებანი, რათა სარწყავი წყალი ეკონომიურად იხარჯებოდეს და არ იღვარებოდეს გზები, ცარიელი ადგილები, სანახირე ადგილები და სხვა მიწის ნაკვეთები.

8. ვალდებულჰყონ ყოველი მეურნეობა გაიტანოს მინდვრად ნეხვი, ნაცარი, სხვადასხვა ნაყარი და უწმინდურობა, რისთვისაც მოეწყოს განსაკუთრებული სანაგვე ზვინები, რაც ზამთრობით ან გზაფხულის პირზე აუცილებლად მინდვრად გაიტანება.

იმ ღარიბ მეურნეობათა მინდვრების გასაპატივებლად, რომელთაც ინვენტარი არ გააჩნიათ, სასუქის მინდვრად გატანა უნდა სწარმოებდეს საზოგადოებრივი დახმარების წესით.

9. ვალდებულჰყონ საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური მეურნეობები თესვა აწარმოონ სამწკრივო სათესი მანქანებით;

10. ვალდებულჰყონ საბჭოთა მეურნეობები და მიწათმოწყობილი კოლექტიური მეურნეობები შემოიღონ თავიანთ მინდვრებზე რაციონალურ მრავალ-მინდეროვანი თესლთბრუნვა;

11. მიწათმოწყობილ სოფლებში უფლება მისცენ სოფლის საზოგადოებათ შემოიღონ ხოლმე ყველა მეურნეობისათვის სავალდებულო თესლთბრუნვა; ამასთანავე, საპროექტო თესლთბრუნვა დადასტურებულ უნდა იქნეს სარაიონო საადგილმამულო განყოფილების მიერ.

12. სავალდებულოდ გახადონ ყველა მეურნეობისათვის გადამწყვეტი ბრძოლა სამინდვრე, საბოსტნე და საბაღე კულტურების მავნებლებთან და სენთან ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციის ჩვენებით. საადგილმამულო ორგანოებმა ღონისძიება უნდა იზმარონ, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს ბრძოლის საშუალებებით და ინსტრუქტაჟით.

13. იზმარონ ღონისძიება, რათა სოფლის ქუჩები და სხვა კულტურებისათვის გამოუყენებელი მიწები აუცილებლად შემორგულ იქნეს ხეებით, რისთვისაც სოფლის საზოგადოებათ და კოლექტიურ მეურნეობათ უფასოდ მიეცეს სარგავი მასალა ტყის სანერგეებიდან.

შენიშვნა. თუთის ხეების გასაშენებლად ვარგისს რაიონებში ჩაიყაროს უპირატესად თუთის ხეები აბრეშუმის ჭიის საკვებად.

14. რათა ოთხფეხი საქონელი უზრუნველყოფილ იქნეს სრულიად საღი და მოწიფული მწარმოებლებით ვალდებულჰყონ საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო ორგანიზაციები, კოლექტიური მეურნეობები, სამეცხოველო კოოპერაცია და სოფლის საზოგადოებები მიუშვან ხოლმე საზოგადოებრივ ნახირებში სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა სამესაქონლო კომისიების მიერ მოწონებული მწარმოებლები.

კომისიების მიერ დაწუნებული მწარმოებლები მიიშვებიან საზოგადოებრივ ნახირში სამოვებლად მხოლოდ მათი დაკოდვის შემდეგ.

15. წინადადება მისცენ იმ ბუღებისა, ულაყებისა და სხვა გვარი მწარმოებლების მეპატრონეთ, რომელნიც აგრილებენ საზოგადოებრივ ნახირებს და ჯოგებს, წარადგინონ ხოლმე ეს მწარმოებლები გასასინჯად, საადგილმამულო განყოფილებათა მოთხოვნით, დანიშნულ ვადაზე და ადგილას.

16. მწარმოებელთა გასასინჯად მოაწყონ სარაიონო საადგილმამულო ორგანოებთან სამესაქონლეო კომისიები საადგილმამულო განყოფილების გამგისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბნის აგრონომისა, ვეტერინარ-ექიმისა და მეცხოველეობის დარგის აგრონომების შედგენილობით.

17. არ მიუშვან საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და საზოგადოებრივ ნახირებში ერთად საძოვებლად მოზრდილი და მოზარდი საქონელი და, რამდენადაც შეიძლება, სხვადასხვა სქესის მოზარდი საქონელი როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა.

18. საზოგადოებრივი ნახირების მოწონებული მწარმოებელნი უნდა ინახებოდენ დათბობილ, გაშუქებულ და ხალვათ სადგომებში და მთელი წლის განმავლობაში უხრწნელყოფილ უნდა იქნენ საკმარისი და კარგი თივისების ფურაჟით; თანაც მათი რიგრიგად შენახვა სხვადასხვა მეურნეობებში არ შეიძლება.

19. რათა საზოგადოებრივ ნახირებში მწარმოებელნი სათანადოდ დაცულ იქნენ, არ შეიძლება მათი მეტისმეტად დატვირთვა და სამეცხოველეო კომისიების მეშვეობით თვითეული გვარის მწარმოებლისათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს დაგრილების საასაკო ვადები (მწარმოებლის ჯიშისა და გამოყენების ხერხის მიხედვით) და მწარმოებლის დატვირთვის ოდენობა; თანაც, რამდენადაც შეიძლება, საჭიროა შემოღებულ იქნეს საქონლის ხელში ჭერით დაგრილება.

20. დაწესებულ უნდა იქნეს, ზოო-ვეტერინარ რწმუნებულთა მეშვეობით, კონტროლი ჯიშიანი და მოწონებული მწარმოებლების შენახვისა და გამოყენებისათვის; უნდა სწარმოებდეს ნაშენობის რეგისტრაცია და აღნუსხვა სამეცხოველეო კომისიების მიერ შემუშავებული ფორმების მიხედვით.

21. სოფლის სანახირე ადგილებისა და საძოვრების რაციონალურად გამოყენებისათვის მიანდონ სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათ დაამყარონ საქონლის ძოვების დაწყებისა და დამთავრების ვადები და სანახირე ადგილებისა და საძოვრების დატვირთვის ოდენობა, აგრეთვე წესი მათი გამოყენებისა სხვადასხვაგვარი საქონლისათვის.

22. სასოფლო სათიბების გასაუმჯობესებლად ვალდებულჰყონ სოფლის საზოგადოებები, კოლექტიური მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც-კი ამ სათიბებს ხმარობენ, ფარცხონ და გაამაპტიონ ეს სათიბები წყალში გახსნილი ნაკელით.

აიკრძალოს სათიბებში საქონლის ძოვება მარტიდან თივის საბოლოოდ აღებამდე.

23. ვალდებულჰყონ სოფლის საზოგადოებები, კოლექტიური მეურნეობები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაწმინდონ თანდათანობით მათ მიერ გამოსაყენებელი სანახირე ადგილები, საძოვრები და ბუნებრივი სათიბები საქონლისათვის მავნე მცენარისა, ეკლისა და ჯაგნარისაგან და აკრიფონ ქვები და თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრონ ხოლმე ვადა სრული გაწმენდისათვის.

24. ეპიზოოტიების წინააღმდეგ წესიერად ბრძოლისათვის და თავის დროზე ცხოველთა სენის (გადამდები და არაგადამდები) აღკვეთისათვის ვალდებულჰყონ ყველა ცხოველის პატრონი:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს ხოლმე უახლოეს ვეტერინარ-ექიმს ყოველი შემთხვევა საქონლის ავად გახდომისა;

ბ) დაუყოვნებლივ განაცალკეოს დაავადებული საქონელი ჯანსაღისაგან;

25. სუფთად ინახებოდეს წყლის დასალევინებელი ადგილები და აიკრძალოს ამ ადგილებთან უწმინდურობის გადაყრა.

26. ამის გარდა, ვალდებულჰყონ საბჭოთა მეურნეობები და განსაზოგადოებული საქონლის მყოლი კოლექტიური მეურნეობები:

ა) შემოიღონ ცხოველთა პროდუქტიობისა და წარმოშობილობის აღნუსხვა, რისთვისაც აწარმოონ ჩაწერვა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ დადგენილი ფორმით და აგრეთვე საკონტროლო დაკვირვებანი ცხოველთა პროდუქტიობისათვის და დახარჯული საკვების ჩაწერვა;

ბ) იქონიონ საქონლისათვის დათბობილი და გაშუქებული სადგომები ახურებით და კვება აწარმოონ ნორმების მიხედვით;

გ) დაგრილება შემოიღონ მარტოოდენ საქონლის ხელში ჭერით;

დ) აუცილებლად დაჰკოდონ ყველა უვარგისი, დაწუნებული მწარმოებელი;

ე) აწარმოონ საკვები ფესვნარებისა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვა და აგრეთვე, სადაც-კი შეიძლება, შემოიღონ ნამკალზე მოსაყვანი კულტურების თესვა;

ვ) მოაწყონ სილოსები და შემოიღონ დასილოსებული საკვების ხმარება;

ზ) ყოველ წელს სწმინდონ საქონლის ბაკები (ეზოები) და სუფთად იყოლიონ საქონელი;

თ) სულ მოკლე ხანში გადავიდენ ძროხების მოწველაზე ხბოების მათგან გამოცალკევებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 28
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 203 №-ში 1930 წ. ივლისის 31-ს.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

156. ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების მე-8 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 168) დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„გრძელვადიანი სესხის აღება ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ ვადით არა უმეტეს 60 წლისა“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ერთი თვის ვადაზე, შეუთანხმონ ამა დადგენილებას თავიანთი კანონმდებლობა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 28.
ტფილისი—სასახლე.

---

157. ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული დადგენლების მე-4 მუხლის გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრურებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს „ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხლი 95) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 28.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 264

158. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სარეწაო კოოპერაციის ფედერალური ნაწილისათვის 1929-30 წ. გამოყოფილი 36.550 მან., —ამ რიცხვში 4750 მან. სახელმწიფო ბიუჯეტით და 33.750 მან. დასაბრუნებელ სესხთა კაპიტალური ვალის დაფარვის ანგარიშით, გადასცეს ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს ახალ წარმოებათა მოსაწყობად საჭირო სამომზადებლო მუშაობისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 8.
ტფილისი— სასახლე.

დ ე ბ ულ ე ბ ა

ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ.

1. ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭო არსდება, რათა გააერთიანოს, ხელმძღვანელობა გაუწიოს და მოაწესრიგოს ა/კსფსრ-ში სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისა და სპეციალური სარეწაო კოოპერატიული შენაერთების გეგმიანი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, საწარმოო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, განსაზღვროს მათ შორის მოქმედების სფეროები, შეიმუშაოს ღონისძიებანი ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის განვითარებისათვის და გასწიოს ა/კსფსრ საერწაო კოოპერაციის ინტერესების წარმომადგენლობა ა/კსფსრ სამთავრობო და სადირექტივო ორგანოებისა და აგრეთვე ა/კსფსრ-ის და სსრკ-ისა კოოპერატიული ორგანოების წინაშე.

2. ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს წევრებად არიან ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრები და სპეციალური სესპუბლიკანური სარეწაო კოოპერატიულ შენაერთები.

3. ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს აქვს იურიდიული პირის უფლებები.

4. ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს უფლება აქვს შეიტანოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბოჭსა და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში საკანონმდებლო განზრახულებანი.

ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს დაესწროს სათათბირო ხმის უფლებით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომებს.

5. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ამერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დაეკისრება:

ა) შეისწავლოს და დაამუშაოს შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სარეწაო კოოპერაციის ეკონომიკის საკითხები;

ბ) შეისწავლოს შინამრეწველთა და ხელოსანთა უფლებრივი მდგომარეობა, შეიმუშაოს საკანონმდებლო განზრახულებანი და აგრეთვე მისცეს დასკვნები შინამრეწველობასა, ხელოსნობასა და სარეწაო კოოპერაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის თაობაზე, რაც განსახილველად შეიტანება ამიერკავკასიის სამთავრობო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

გ) შეიმუშაოს სარეწაო კოოპერაციის მშენებლობის მეთოდები, ფორმები და გეგმები;

დ) შეიმუშაოს და შეადგინოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ჯუმლობითი წლიური და საპერსპექტივო გეგმები და საკონტროლო ციფრები და აგრეთვე მიღოს მონაწილეობა ამ გეგმების განხილვაში ხელმძღვანელი, მგეგმავი და მომუწესრიგებელი ორგანოების მიერ;

ე) შეიმუშაოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებით და საწარმოო იარაღით მომარაგებისა და სარეწაო კოოპერაციის ნაკეთობის ექსპორტის ჯუმლობითი საწარმოო-საფინანსო გეგმები;

ვ) გაანაწილოს, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით მომარაგების კონტიგენტები და საბიუჯეტო და საბანკო დაფინანსება რესპუბლიკანურ სისტემებსა და სპეციალურ შენაერთებს შორის;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ ორგანოების მიერ ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციისათვის საიმპორტო და საექსპორტო ლიმიტების დაწესებაში და გაანაწილოს ეს ლიმიტები რესპუბლიკებზე და შენართებზე;

თ) ხელი შეუწყოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციას უმოქმედო საწარმოთა და გაწყობილობათა მიღებაში და იმ საწარმოთა მისთვის დამტკიცებაში, თანახმად არსებული კანონებისა, რომლებიც სარეწაო კოოპერაციის ფაქტიურ სარგებლობაშია;

ი) შეიმუშაოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის რევიზიისა, გამოკვლევისა და ინსტრუქტირების მეთოდები და გეგმები და განახორციელოს ეს გეგმები;

კ) გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისა და სპეციალური შენაერთების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას—მომმზადებელი და გარდამზადებელი კურსებისა, სპეციალური სკოლებისა, სახელოსნოებისა, გამოფენებისა, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მოწყობით და აგრეთვე წიგნებისა, ბროშურებისა, ფურცლებისა, ბიულეტენებისა და სხვ. გამოცემით.

6. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შეუძლიან:

ა) მოსთხოვოს რესპუბლიკურ ცენტრებსა და სპეციალურ სარეწაო კოოპერატიულ შენაერთებს მათი მოქმედების ანგარიშის წარდგენა და მოისმინოს ეს ანგარიშები;

ბ) მოსთხოვოს ზემოაღნიშნულ ორგანოებს, საერთოდ, ყველა იმ ცნობებისა და მასალების წარდგენა, რაც საჭიროა მისთვის, რათა განახორციელოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელი ცენტრის ფუნქციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღოს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისგან ცნობები და მასალები მისი კომპეტენციის საკითხების თაობაზე;

დ) აწარმოოს რევიზია სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისა, სპეციალური შენაერთებისა და პირველადი ორგანიზაციებისა—უკანასკნელ წემთხვევაში—სათანადო რესპუბლიკანურ ცენტრთან შეთანხმებით;

ე) თვალყური ადევნოს სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე თვით სარეწაო კოოპერაციის მიერ სარეწაო კოოპერაციის შესახებ გამოცემული ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების შესრულებას.

ვ) გასწიოს წარმომადგენლობა ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ინტერესების სფეროში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების წინაშე;

ზ) მოამზადოს და მოიწვიოს ხოლმე კრილობები და თათბირები სარეწაო კოოპერაციისა, შინამრეწველობისა და ხელოსნობის მშენებლობის საკითხების თაობაზე.

7. ამერიკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სახსარი შესდგება:

ა) მისი წევრების შენატანისაგან ისეთი რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს ამერიკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმი;

ბ) სხვა შემოსავლისაგან.

8. ამერიკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს უმაღლესი ორგანო საბჭოს პლენუმია, რომელიც შესდგება რესპუბლიკანური ცენტრების მიერ დელეგირებულ წარმომადგენელთაგან—თითო რესპუბლიკიდან ათ-ათი კაცი—და რესპუბლიკანური სპეციალური შენაერთების წარმომადგენელთაგან — თითოსაგან თითო კაცი.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების რესპუბლიკანური ცენტრების წარმომადგენლნი იგზავნებიან ისეთი ვარაუდით, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა მიიღონ წარმომადგენლობა პლენუმში—თვითეულმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ თითო ოლქმა თითო წარმომადგენლის სახით. პლენუმის შედგენილობაში შედის სრულიად საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს წარმომადგენელი.

9. პლენუმი მოიწვევა მორიგ სესსიებად წელიწადში ორჯერ მაინც.

10. ამერიკავკასიის სარეწაო კოპერაციის საბჭოს აღმასრულებელი ორგანო პრეზიდუმია, რომელსაც აირჩევს პლენუმი ხუთი კაცის შედგენილობით ორი წლის ვადით. პრეზიდუმი მუშაობს საბჭოს-პლენუმის მიერ დამტკიცებული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

11. იმ საკითხებს, რაც აღიძვრის პლენუმის სხდომიდან—სხდომამდე, გადასწყვეტს პრეზიდუმი, რომელც წარუდგენს პლენუმს მოხსენებას მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესახებ და მთლად თავისი მოქმედების თაობაზე.

12. ამერიკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მოქმედება მოისპობა მისი პლენუმის ან სრულიად საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დადგენილებით და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს დამტკიცებით.

13. ამერიკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს გადამწყვეტი ხმის უფლებით სრულიად საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 265

159. ბამბის პლანტაციების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მთავარი სამეგბამბეო კომიტეტის ამერკავკასიის განყოფილებას და სამეგბამბეო კოოპერაციას—ბამბის პლანტაციების დამუშავების დაჩქარებისა და გაუმჯობესებისათვის განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. იმ მეურნეობას (როგორც კოლექტიურს, ისე ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობას), რომელმაც, არა უგვიანეს ა/წ აგვისტოს 1-სა, ბამბის ნათესს ორჯერ შემოაყარა მიწა და გამარგლა, იგი, ხოლო აგრო-კომპლექსის რაიონში — შეასრულა ორი კულტივაცია, მიეცეს, განსაზღვრული ნორმის გარდა, დამატებით ორი ფუთი პური (მარცვლად) თითო ჰექტარ ფაქტიურად დამუშავებულ ნათესზე, ანგარიშის ნაადდად გასწორებით და მტკიცე ფასად.

2. იმ მეურნეობას, რომელმაც, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 10-სა, ბამბის ნათესს სამჯერ შემოაყარა მიწა და გამარგლა იგი, ხოლო აგრო-კომპლექსის რაიონში შეასრულა სამი კულტივაცია,—მიეცეს, გარდა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში განსაზღვრულისა, დამატებით ერთი ფუთი პური (მარცვლად), ერთი კილოგრამი შაქარი და სამი მეტრი ბამბეული მანუფაქტურა.

შენიშვნა. სომხეთის სსრ-ში მესამედ მიწის შემოყრის ვადად დაწესებულ იქნეს ა/წ. აგვისტოს 1-ლი.

3. იმ მეურნეობას, რომელმაც შეასრულა მხოლოდ ერთი მარგვლა-კულტივაცია, მიეცეს პური მეორე ავანსების მიცემის დროს განსაზღვრული ნორმით და იგი მოიხსნას სამრეწველო საქონლით მომარაგებისაგან.

4. ის მეურნეობა, რომელმაც სრულიად თავი აარიდა ბამბის ნათესის დამუშავებას და არც ერთი მარგვლა-კულტივაცია არ შეასრულა, მე-IV კვარტალში სრულიად მოიხსნას პურით მომარაგებისაგან და მოესპოს მას სამრეწველო საქონლის მიღების უფლება, რადგანაც ასეთი მთესველი მიღებულ უნდა იქნეს როგორც ბოროტი განზრახვით თავისი მოვალეობის უარისმყოფელი; თანაც იგი უნდა მიიცეს პასუხისგებაში სამეგბამბეო კოოპერაციასა და მთესველს შორის დადებული ხელშეკრულობის თანახმად.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული მიცემა პრემიალური პურისა ეარცელდება აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სამეგბამბეო მეურნეობებზე.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილება, რომლითაც სასოფლო საბჭოებსა და დასახლებულობათა ამხანაგობებს დაეკალებათ საკუთარი ძალღონით და სახსარით დაამუშაონ მიტოვებული ნათესები და მოკრიფონ მოსავალი ამ ნათესების პატრონთა ხარჯით და გაწეული ხარჯები დაფარონ მოსავლის რეალიზაციით მიღებული თანხებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შექმნას შემდეგი პრემიალური ფონდი:

ა) 300.000 ფუთი პურეული პროდუქტი (მარცვლად) მიმდინარე წლისათვის დამტკიცებული გეგმის ანგარიშზე—4.200.000 ფუთის რაოდენობიით (მარცვლად)—და აქედან 150.000 ფუთი ჩაბაროს ა/წ. სექტემბრის 1-დან 15-დე, ხოლო დანარჩენი 150.000 ფუთი—ა/წ. სექტემბრის 15-დან ოქტომბრის 1-დე;

ბ) 7 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა მე-IV კვარტალის სამრეწველო საქონლის კონტინგენტიდან, რაც დაუყოვნებლივ იქნეს ჩაბარებული;

გ) 4 ვაგონი შაქარი,—აქედან 3 ვაგონი სპეციალური ფონდიდან და 1 ვაგონი მე-IV კვარტალის სამრეწველო საქონლის კონტინგენტიდან, რაც დაუყოვნებლივ იქნეს ჩაბარებული.

7. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და „სოიუზხლებ"-ს, მეორე ავანსების მიცემის პერიოდში დეფიციტის დასაფარავად, ჩაბარონ მთავარი საწებამბეო კომიტეტის რწმუნებულს 200.000 ფუთი პურეული პროდუქტი (მარცვლად),—აქედან 100.000 ფუთი ა/წ. აგვისტოს 20-დე, ხოლო დანარჩენი 100.000 ფუთი ა/წ. აგვისტოს 31-დე. პასუხისმგებლობა ამის თავის დროზე შესრულებისათვის დაეკისროს „სოიუზხლებ"-ს.

8. მიენდოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირს, ერთი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები მისი განხორციელებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 23.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 196 №-ში 1930 წ. ივლისის 24-ს.

№ 266.

160. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930/31 საბიუჯეტო წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 21-ის თარიღისა და 191 №-ის დადგენილების თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ა/კსფსრ ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ „უწყებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გასატარებელ შერეულ სააქციო საზოგადოებათა და ფედერატიულ კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1930/31 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები აღრიცხულ უნდა იქნეს შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა. 1930/31 წლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები, განსაკუთრებით სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა, სააქციო სახოგადოებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხარჯები, მაქსიმალურად შემცირებულ უნდა იქნეს 1929/30 წლის ასეთსავე ხარჯებთან შედარებით.

ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები, 1929-30 წლის ხარჯებთან შედარებით, უნდა შემცირდეს საშუალოდ 10 პროცენტით მაინც. სამეურნეო ანგარიშით მომქმედ დაწესებულებათა საადმინისტრაციო საგამგებლო ხარჯების პროცენტი —ბათ ბრუნვასთან შედარებით—ნაკლები უნდა იყოს ასეთივე ხარჯების პროცენტზე, 1929/30 წლის ბრუნვასთან შედარებით 25 პროცენტით მაინც.

ამ ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს 1929-30 წელს აპარატის რაციონალიზაციისათვის და ეკონომის რეჟიმის განხორციელებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა საფუძველზე და აგრეთვე იმ ღონისძიებათა საფუძველზე, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს 1930/31 წელს. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები სოციალურ-კულტურული ხასიათის დაწესებულებებისა, სამეცნიერო, სასწავლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებისა, რომელთა მუშაობაც 1930/31 წელს არ გაფართოვდება, აგრეთვე შემცირებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება თვალსაჩინო რაოდენობით. 1930/31 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 1929-30 წლის ასეთსავე ხარჯებთან შედარების დროს ხარჯთაღრიცხვებიდან ამოშლილ უნდა იქნეს ხარჯები ისეთი საპიროებისათვის, რომელიც იყო მხოლოდ 1929/30 წელს და აღარ განმეორდება 1930/31 წელს, აგრეთვე ასსიგნები იმ ხარჯებისათვის, რაც დაკავშირებულია სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოსთვის გადაცემულ ფუნქციებთან.

ბ. ახლად დაარსებული დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები და ახალ საწარმოთა ასეთივე ხარჯები, რაც წარმოებულ არ იყო 1929/30 წელს, აღრიცხულ უნდა იქნეს მტკიცე ნორმების შეფარდებით; ამასთანავე, ასსიგნები სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ახალი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის 1930/31 წლის ხარჯთაღრიცხვებში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, უკეთუ იმ მომენტისათვის, როდესაც ეს ხარჯთაღრიცხვები განხილულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, არსებობს ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოების სათანადო დადგენილება.

II. ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირებას, განხორციელებულ უნდა იქნეს 1929/30 საბიუ-

ჯეტო წლის გასვლამდე, რათა 1930/31 წლის დასაწყისიდან ეს ხარჯები სწარ მოებდეს შემცირებულ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა ფარგლებში.

III. უწყებებისა, დაწესებულებებისა, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი მოვალენი არიან ბეჯითად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების შესრულებას.

IV. 1-ლ მუხლში აღნიშნული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესი ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების შედგენაზე.

V. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და ეკისროს ამა დადგენილების შესრულების შემოწმება.

VI. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ სამი დღის ვადაზე ანალოგიური დადგენილებანი რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომელნიც რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატების გამგებლობაში არიან, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური ორგანოების რეგისტრაციაში გასატარებელი შერეული სააქციო საზოგადოებებისათვის და რესპუბლიკანური კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 25.
ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 198 № ში 1930 წ. ივლისის 26-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 1843. ტირაჟი 850